

6-29.

34(95)
6-29
საბჭო. რესპუბლიკის



საქართველოს სსრ.

საბჭო. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
სამმეთა მმართველობის გამომცემი

1933 წ. იანვრის 15.

№ 12

მშენებელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო მმართველობა.

1429

148. საეკონომიური და დგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6, 7, 8, 9, 12 და 25 მუხლის შეცვლისა, ამ დებულებისათვის მე-4 მუხლის დამატებისა და მე-4 მუხლის შენიშვნის მე-41 მუხლის შენიშვნად გადატანის შესახებ.

149. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ—წყალთა სარგებლობის წესისა და წყალსამურნეთა ნაგებობათა და მათ დამზარებელ გამართულობათა დაცვის მიზნით—გამოცემულ საეკონომიური და დგენილებათა დარღვევისათვის დადებული ჯარიმის მოხმარებისა და იძულებითი მუშაობის გამოყენების შესახებ.

სახალხო მურწიების საერთო საკითხები.

150. საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ.

მრეწველობა.

151. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისათვის, რომელთა სისტემაშია უშუალოდ შედიან ცალკეული საწარმოები, რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ტრესტების ზოგიერთი ფუნქციის დაკისრების შესახებ.

152. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

153. ფარიანი მანებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

154. „ამერიკული ვაზის სადედებისა, ნამყენი ვაზის სანერგებისა და ახალი ვენახების გაშენებისათვის კონტროლის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების შეცვლის შესახებ.

155. „ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

156. მებაზმების სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლიდან გამომდინარე დავალებების უკეთესად შესრულებისათვის დაპრემირების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

157. საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან დეცენტრალიზებული წესით დამზადებული პროდუქტების გაყიდვა-გასაღების ფასების დაწესებისათვის საკონფერენციო ბიუროს დაარსების შესახებ.



158. საქართველოს სსრ მომხარაგების სახალხო კომისარიატთან ლენინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციის, მცირე-აღკაფილიანი და უაღკა-
პოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირ-
ტის გამოზღვის, შენახვის და რეალიზაციისათვის
ზედაშედეგლობის გამწვევი სახელმწიფო ინსპე-
ქციის მოწყობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

159. სსრ კავშირის კომუნალური და საბინაო
მშენებლობის დაფინანსების ბანკის სპეციალურ
კაბიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავ-
ლიდან და სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და
საკონტროლო საფუძემდების საჯარო ტირიდან მიზ-
ნობრივი ანარიცხების გადადების შესახებ.

160. მცირეძალვან საბინაო-საჯარო კოოპე-
რაციულ ამბანაგობათა დაფინანსების სპეცია-
ლური საქალაქო ფონდების შექმნის შესახებ.

161. ქალაქებში მწვანე ნარგავთა დაცვის შე-
სახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი .

162. საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწი-
ფო ბიუჯეტის შესახებ.

163. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსა-

ღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების
21 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლისა და ამავე
მუხლისათვის „ა“ პუნქტის დამატების შე-
სახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

164. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო
კომისარიატის სისტემაში სახელმწიფო დაზღვე-
ვის დამოუკიდებელი ორგანოების მოწყობის შე-
სახებ.

შ რ ო შ ა .

165. შრომის დაგვეგვისა და მუშა-მოსამაზაზ-
რეთა ხელფასის ფინანსების ხარჯვის რეგულირე-
ბის წესის შესახებ.

166. „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისა-
თვის“ შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე“ გა-
მოცემული დადგენილების 21 მუხლის შეცვლისა
და ამავე დადგენილების მე-13 მუხლისათვის მე-
3 ნაწილის და 22 მუხლისათვის მე-2 ნაწილის
დამატების შესახებ.

სისხლის სამართალი.

167. სისხლის სამართლის კოდექსის 136^ა და
136^ბ მუხლების შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

148. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვე-
ვისათვის პასუხისმგებლობის დებულების მე-6,7,8,9,12 და 25 მუხლის შე-
ცვლისა, ამ დებულებისათვის მე-4^ა მუხლის დამატებისა და მე-4 მუხლის
შენიშვნის მე-4^ა მუხლის შენიშვნად გადატანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და
საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა და-
რღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20
№-ი, მუხ. 208) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დამატოს დებულებას მე-4^ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„4^ა. ხელისუფლების ქვემდგომი და ადგილობრივი ორგანოების სავალდე-
ბულო დადგენილებანი არ შეიძლება გამოცემულ იქნენ ისეთ საკითხებზე, რომ-

ლებზედაც არსებობს ხელისუფლების ზემდგომი და ცენტრალური ორგანოების დადგენილებანი, რითაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლისა, საადმინისტრაციო და სსრკ-ის პლინო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ აქტებში პირდაპირ არის აღნიშნული ხელისუფლების ქვემდგომი და ადგილობრივი ორგანოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა“.

2. მე-4 მუხლის შენიშვნა ჩაითვალოს მე-4¹ მუხლის შენიშვნად.

3. მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 89 და 90) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე:

I. საერთო მმართველობის სფეროში:

- რეგოლუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ;
- სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ქონების დაცვის შესახებ;
- ეზოს მუშათა და ღამის დარაჯთა სამსახურის შემოღების შესახებ;
- სტიქიურ უბედურებასთან (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა მისთ.) ბრძოლის შესახებ;

II. სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა სფეროში:

- საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ;
- წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (სასანიტარო წესების დაცვა, დასახლებული ადგილების გაჯანსაღებისა, საზოგადოებრივი კვებისა, მოსახლეობის არსებობის სასანიტარო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება);

III. ადგილობრივი კეთილმოწყობის სფეროში:

- ქალაქად ქვაფენილებისა, ტროტუარებისა, წყალსადენის ქსელისა და წყალსადინარი მიწების წესიერად შენახვის შესახებ;
- სახლების ფასადებზე სანომრო ნიშნების გაკეთებისა და კიბეების განათების შესახებ;
- შენობების და მათი ნაწილების რემონტის და აღდგენისა და ისეთი შენობების და მათი ნაწილების დაშლის შესახებ, რაც ჩამოქცევის საფრთხის წარმოადგენს;
- სახურავეებზე თოვლის გაწმენდის შესახებ;

ე) ტყეებისა, პარკებისა, სკვერებისა, ნათესებისა, ველებისა და, საერთოდ, მწვანე ნარგავების განადგურებისა, გაფლკებისა და საქონლის მიწვევით წახდენისაგან დაცვის შესახებ; ტყეებისა, პარკებისა, სკვერებისა და სხვა მწვანე ნარგავების გამოყენების წესის შესახებ—კანონით დადგენილ ფარგლებში;

IV. საბინაო მეურნეობის სფეროში:

- ა) კერძო სახლთმფლობელობებში კომუნალური ფონდისათვის საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის შესახებ კანონით დადგენილ ფარგლებში;
- ბ) გამვლელი ჯარის დაბინაების შესახებ;
- გ) სტიქიური უბედურების შემთხვევაში მოსახლეობის დაბინაების შესახებ;

V. სოფლის მეურნეობის სფეროში:

- ა) სავალდებულო სააგრონომიო წესების შესახებ;
- ბ) ეპიზოოტიისა და სოფლის მეურნეობის მიანებლებთან ბრძოლის შესახებ;

VI. საწარმოთა საქმიანობისა, მრეწველობის და ვაჭრობის მოწესრიგების სფეროში:

- ა) საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოთა (ტრამვაი, ავტობუსები, სასადილოები, რესტორანები, ტრაქტორები, საჩაიები, სასტუმროები, ღამის გასათევი სახლები, აბანოები, სააბანაოები, საპარიკმახტროები და სხვ. მისთ.) გახსნისა და საქმიანობის წესის შესახებ;
- ბ) თეატრებისა, კინოებისა, კლუბებისა, სათამაშო ადგილებისა და სხვა საჯარო ადგილების გახსნის და დახურვის წესის და დროისა და მათში წესრიგის დაცვის შესახებ;
- გ) ცალკეულ კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის მოხმარების რეგულირების შესახებ;
- დ) დაწესებულებათა და საწარმოთა გათბობის პერიოდის ვადების განსაზღვრის შესახებ;
- ე) სათანადო ორგანიზაციების მიერ უტილნივდლეულის მოგროვებისა, შენახვისა და ჩაბარების წესის შესახებ;
- ვ) ვაჭრობის წარმოების შესახებ; კერძოდ—ვაჭრობის ადგილისა, დროისა და წესის შესახებ; ბაზრებზე, იარაღებზე და ვაჭრობისათვის მიჩენილ სხვა ადგილებზე წესრიგის დამყარების შესახებ;
- ზ) ოთხფეხი საქონლის და ხორცის ვაჭრობისათვის სპეციალური სავეტერინარო სასანიტარო ზედამხედველობის დაწესების შესახებ; კერძოდ—ხორცზე დალის დასმის შესახებ (იმ ადგილებში, რაც განსაზღვრულია მიწათმოქმედების

სახალხო კომისარიატის მიერ მომარაგებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით);

საქართველოს
საბჭოთა კავშირი

VII. ტრანსპორტის სფეროში:

ა) საგზაო მშენებლობის შესახებ—კანონით დადგენილ ფარგლებში, და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობების დაცვის შესახებ;

ბ) ადგილობრივი ტრანსპორტის სასყიდლის ნიხრის დაწესების შესახებ.

იმ საკითხების შესახებ, რაც ამა მუხლში აღნიშნული არ არის, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს შეუძლიანთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საკითხებზე სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება მათ მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული კანონით ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით*.

4. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო კომისარიატებისა და მათი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებების სავალდებულო დადგენილებანი, ხოლო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებათაგან ის სავალდებულო დადგენილებანი, რაც გამოსაცემია: 1) რევოლუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის შესახებ (მე-6 მუხლის 1-ლი კარის „ა“ პუნქტი), 2) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მე-6 მუხლის მე-II კარის „გ“ პუნქტი) და 3) კეთილმოწყობის შესახებ (მე-6 მუხლის მე-III კარი), შეიძლება გამოცემულ იქნენ ერთ წელიწადზე მეტი ვადითაც და იმოქმედონ გაუქმებამდე, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს თვით სავალდებულო დადგენილებაში“.

5. დამატოს მე-8 მუხლს „ი“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[8. სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:....]

„ი) ორგანო, რომელსაც ეკისრება მეთვალყურეობა მისი აღსრულებისათვის“.

6. მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის დაწყებითი წინადადება მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობად ოფიციალურ ბეჭდვითს ორგანოში (სადაც იგი გამოდის) დაბეჭდვით ან თვალსაჩინო ადგილებზე გამოკიდვით (გამოკიდვის დროის აღნიშვნით), როგორც არის:...“

7. მე-12 მუხლის „გ“ პუნქტი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[12. განსაკუთრებული წესით რეგულირდება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა:...]



„ბ) გამოცალკევებული კურორტების ტერიტორიაზე“.

8. 25 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს
კომისარიატის

„25. საერთო წესის გამონაკლისები, რაც ეხება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში და მთავარ საქურორტო სამმართველოს მიერ გამოცალკევებული კურორტების ტერიტორიაზე გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადებას, განისაზღვრება ცალკე კანონით (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-ი, მუხ. 129; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 146; 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 210; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 239)“.

9. ჩაითვალოს ამა დადგენილებით დაფარულად და ძალადაკარგულად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი აღნიშნული დებულებების მე-6 მუხლის შეცვლის თაობაზე:

ა) 1932 წ. მაისის 5-ისა—„ს“ პუნქტის შეცვლის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 89);

ბ) 1932 წ. მაისის 13-ისა „მ¹“ პუნქტის დამატების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 90);

გ) 1932 წ. ნოემბრის 22-ისა „ო¹“ პუნქტის დამატების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. უოჟიკაშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. აპრილის 28.

ტფილისი.

149. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ—წყალთა ხარგებლობის წესისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა დაცვის მიზნით—გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული ჯარიმის მოხმარებისა და იძულებითი მუშაობის გამოყენების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ—წყალთა ხარგებლობის წესისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა დაცვის მიზნით—გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული ჯარიმით შემოსული თანხები (საქ. სსრ

კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 32) მიიქცევა აღნიშნული სახალხო კომისარიატის წყალობა მეურნეობის სამმართველოს სახსარში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ საეკონომიკურ დადგენილებათა დანერგვისათვის დადებული იძულებითი მუშაობა გამოიყენება მარტოოდენ წყლის სისტემების სამუშაოებზე.

3. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და შრომის დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილის 7.

ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

150. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღწერილ დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოფიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ.

1. სასტანდარტიზაციო კომიტეტი არსებობს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან („საქსტანდარტკომი“) და სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის უმაღლესი ორგანოა, რომლის ამოცანასაც შეადგენს გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგში მუშაობას.

2. სასტანდარტიზაციო კომიტეტი მუშაობს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით და შრომისა და თავდაცვის საბჭოს-

თან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ მიცემული საგეგმო და მეთოდოლოგიური დირექტივების საფუძველზე;

3. აღნიშნული ამოცანების აღსრულებისათვის სასტანდარტიზაციო კომიტეტს ეკისრება:

ა) შეადგინოს თავისი სამუშაოებისა და მეტროლოგიური პუნქტების პერსპექტიული და წლიური გეგმები და წარუდგინოს ჯუმლობითი გეგმები დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ;

ბ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგში მუშაობას, რასაც აწარმოებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო (როგორც რესპუბლიკანური და ადგილობრივი, ისე საერთო-საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობისა);

გ) გაუწიოს კონტროლი საერთო-საკავშირო სტანდარტების და რესპუბლიკანური სასტანდარტო წესების შთანერგვას და აღსრულებას და ზედამხედველობა საზოგადოებას და საკონტროლო-სამშოშო ხელსაწყოთა მდგომარეობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოში;

დ) თვალყური ადევნოს სამრეწველო-საფინანსო გეგმებში იმ საორგანიზაციო-საფინანსო და ტექნიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა შეტანას, რაც უზრუნველყოფს საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და რესპუბლიკანური სასტანდარტო წესების დამუშავებას და შთანერგვას და დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისი პროდუქციის გამოშვებას;

ე) თვალყური ადევნოს იმ სამომზადებლო ღონისძიებათა განხორციელებას, რაც საჭიროა სტანდარტებისა და სასტანდარტო წესების მიხედვით პროდუქციის წარმოებაზე დადგენილ ვადაზე ვადასვლისათვის;

ვ) გამოარკვეოს მომქმედო სტანდარტებისა და სასტანდარტო წესების საჭირო ცვლილებანი და დამატებანი და შეიმუშაოს სათანადო წინადადებანი შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტში შესატანად;

ზ) შეიმუშაოს თვით, განიხილოს სხვა დაწესებულებების მიერ შემუშავებული და შეიტანოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტში დასამტკიცებლად რესპუბლიკანური სასტანდარტო წესების პროექტები;

თ) თვალყური ადევნოს სტანდარტების შემოღებისა და სასტანდარტო წესების შეფარდების ეფექტიობის აღრიცხვის საქმის დაყენებას და გაუკეთოს სისტემატიზაცია სტანდარტების და სასტანდარტო წესების შთანერგვის ეფექტიობის მასალებს;

ი) გაუწიოს ზედამხედველობა საკონტროლო-სამშოშო მეურნეობის მდგომარეობას და საკონტროლო და სამშოშო ხელსაწყოების ერთსახეობას; იქონიოს კონტროლი ამ ხელსაწყოების შენახვისა და გამოყენებისათვის;

კ) შეამოწმოს წარმოებიდან და რემონტიდან გამოშვებული საკონტროლო და სამზომო ხელსაწყოები; გაუწიოს კონტროლი ამ ხელსაწყოების შემოწმებას, რომელსაც აწარმოებენ განსაზოგადოებული სექტორის საწარმოები და ორგანიზაციები;

ლ) გასცეს ნებართვა საკონტროლო და სამზომო ხელსაწყოების სარემონტო სახელოსნოების გახსნისათვის;

მ) აღრიცხოს სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოები;

ნ) გაუწიოს ხელმძღვანელობა მეტრული რეფორმის დამთავრებას;

ო) თვალყური ადევნოს სტანდარტებისა და სასტანდარტო წესებისა და საკონტროლო-სამზომო მეურნეობის მდგომარეობისათვის საუწყებო კონტროლის მრწყობას და მოქმედებას;

პ) მოაწყოს და მისცეს ტექნიკური კონსულტაციები სტანდარტიზაციისა, პროდუქციის თვისებისა და საკონტროლო-სამზომო მეურნეობის საკითხების სფეროში;

ჟ) გაუწიოს კონტროლი პროდუქციის თვისების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას;

რ) მოამზადოს და გარდაამზადოს სტანდარტიზაციისა და საკონტროლო-სამზომო საქმისათვის საჭირო კადრები შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საქავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით;

ს) მოაწყოს თათბირები, ყრილობები და კონფერენციები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხებისათვის და მიიღოს მონაწილეობა სრულიად საქავშირო ყრილობებსა და კონფერენციებში;

ტ) აწარმოოს სოციალისტური სტანდარტიზაციის მნიშვნელობისა, საზომთა მეტრული სისტემისა, საკონტროლო-სამზომო ხელსაწყოების შესახები ცნობებისა, მათი შინაარსის და გამოყენების პოპულარიზაცია და ამ საკითხების პროპაგანდის მიზნით ჩააბას საქმეში ადგილობრივი პრესა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

4. სასტანდარტიზაციო კომიტეტი უწყევს საჭირო მეთოდოლოგიურ დახმარებას ყველა, გამოუკლებლივ, საქავშირო, ფედერატიულ, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას მის მუშაობაში სტანდარტიზაციისა, საკონტროლო-სამზომო საქმისა და პროდუქციის თვისების ხაზით.

5. სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს:

ა) გამოიკვლიოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა, როგორც რესპუბლიკანურ და ადგილობრივ, ისე საერთო-საქავშირო და ფედერატიულ, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საუწყებო სასტანდარტიზაციო ორგანიზაციის მდგომარეობისა, სტანდარტიზაციის გეგმის მიხედვით მიცემულ დავალებათა აღსრულებისა, სტანდარტებისა და სასტანდარტო წესების დაცვისა და

მათი ეფექტიობისა, საკონტროლო-სამშრომო საქმის მდგომარეობისა და პროდუქციის თვისების საკითხები და მოსთხოვოს ამ დაწესებულებას და საწარმოს ცნობებისა და მასალების წარდგენა აღნიშნული საკითხების თაობაზე;

ბ) მისცეს დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ დაეალებანი თავისი კომპეტენციის ხაზით;

გ) ჩააბან პროდუქციის გამოცდებისა და გამოკვლევების სამუშაოებში ლაბორატორიები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და ცალკეული სპეციალისტები;

დ) მოაწყოს დამხმარე დაწესებულებები, ლაბორატორიები და ექსპერიმენტალური სახელოსნოები განსახილველად და დასამტკიცებლად შესატანი სტანდარტების და სასტანდარტო წესებისა და სამშრომო და საკონტროლო ხელსაწყოების შესამოწმებლად; მოაწყოს ნიმუშების კაბინეტები, მუზეუმები, გამოფენები, ლექციები, დემონსტრაციები და კონკურსები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხებისათვის;

ე) იქონიოს საზომ-საწონთა ხელსაწყოების სარემონტო სახელოსნოები;

ვ) მოაწყოს მშობებით მომარაგება.

6. თავის მუშაობას სასტანდარტიზაციო კომიტეტი ანხორციელებს დაწესებულებათა და საწარმოთა სასტანდარტიზაციო ორგანოებზე და ტექნიკური კონტროლის განყოფილებებზე დამყარებით და ცდილობს ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღებინოს მუშებისა, საინჟინერო-სატექნიკო და სამეცნიერო ძალების ფართო საზოგადოებრიობას, რისთვისაც: ამყარებს კავშირს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, იზიდავს მუშათა და საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა აქტივს კონტროლის გასაწევად სტანდარტებისა და სასტანდარტო წესების დაცვისათვის, მეთვალყურეობის გასაწევად პროდუქციის თვისებისათვის, სტანდარტების პროექტების შესამუშავებლად და შემხვედრი სტანდარტების შესაგებებლად (სოცშეჯიბრებისა და დამკერელობის საფუძველზე), აგრეთვე იმ საკითხების განსახილველად, თუ რამდენად მომზადებულ არიან საწარმონი სტანდარტებისა და სასტანდარტო წესების შთანერგვისათვის, და სტანდარტების და სასტანდარტო წესების ეფექტიობისა და ნაკლოვანებათა გამოსააშკარავებლად; თანაც კომიტეტი აწარმოებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გაცვლას* გამოცვლას სტანდარტიზაციისა, საკონტროლო-სამშრომო საქმისა და პროდუქციის თვისების სფეროში.

7. უფრო დიდ სამრეწველო ცენტრებში სასტანდარტიზაციო კომიტეტი, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს თანხმობით, ხსნის თავის მეტროლოგიურ პუნქტებს.

8. კომიტეტს შეადგენენ თავმჯდომარე და წევრები, რომელთაც ჰნიშნავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო, და სხვა მომუშავენი შტატებში განსაზღვრული რიცხვით. კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს სათათბირო ხმის უფლება.

საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს სხდომებში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხების გამო.

9. სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს:

ა) განკარგოს, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში კომიტეტის სახსარი;

ბ) დასდოს ხელშეკრულებები, გაილოს გადასახდელი, გაიხსნას მიმდინარე ანგარიშები, ხელი მოაწეროს ჩეკებს და მიიღოს ფული, შეიძინოს და გაასხვიოს კონება კანონით დადგენილი წესისამებრ, გასცეს რწმუნებულობა, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში.

10. სავალდებულო წესით სამზომო ხელსაწყოების შემოწმებისათვის სასტანდარტიზაციო კომიტეტი ახდევინებს, ვისაც ჯერ არს, სასყიდელს სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დადგენილი ნიბრით.

11. ექსპერტიზისა და გამოცდისათვის და სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოების შემოწმებისათვის, რასაც კომიტეტი შეასრულებს არასავალდებულო წესით, სასყიდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთი-სამად დაწესებულ ნიბრთან შედარებით.

12. უკეთეს სასტანდარტიზაციო კომიტეტის მომუშავე გაწვეულია სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოების შესამოწმებლად იმ ადგილას, სადაც ეს ხელსაწყოებია, გამწვევი ორგანიზაცია, შესამოწმებელი გამოსაღების გარდა, იზღის ხარჯს საკონტროლო ხელსაწყოების გადატანისათვის და აგრეთვე ხარჯს მომუშავეთა მივლინებისათვის არსებული შრომის კანონის თანხმად.

13. სასტანდარტიზაციო კომიტეტი ინახება კომიტეტის სპეციალური სახსრით, რაც შესდგება მისი საკონტროლო-სამშრომლობით და სარემონტო საქმიანობისათვის მიღებული თანხებისაგან (მუხ. 11, 12). სპეციალური სახსარი იხარჯება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განხილული და საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

შენიშვნა. მზომებისათვის დალის დასმის გამოსაღების (მუხ. 11)

10⁰/₀ შედის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის განკარგულებაში.

14. სასტანდარტიზაციო კომიტეტს აქვს:

ა) ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით;

ბ) განსაკუთრებული დაღები ნიშნების დასასმელად და შემოწმებული საზომები და სამზომო საკონტროლო სახელსაწყოები.

15. უკეთეს აღმოჩენილ იქნა, რომ პროდუქცია გამოშვებულია დაწესებული სტანდარტების დარღვევით, ან გამოშვებულია უხეირო პროდუქცია, ან და უკეთეს სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოები გამოშვებულია, ინახება და იზმარება მოქმედი კანონების და წესების დარღვევით, სასტანდარტიზაციო

კომიტეტი აღძრავს დამნაშავეთა წინააღმდეგ დევნას განსაზღვრული წესისა-
მებრ, არსებული კანონმდებლობის თანახმად.



მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

151. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისათვის, რომელთა სისტემაშია ც
უშუალოდ შედიან ცალკეული საწარმოები, რესპუბლიკანური მნიშვნელობის
მქონე ტრესტების ზოგიერთი ფუნქციის დაკისრების შესახებ.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი ტრესტის გაუქმებასთან
და მათ შედგენილობაში შემაჯავალ საწარმოთა (ფაბრიკები, ქარხნები) უშუალოდ
სათანადო სახალხო კომისარიატებისათვის და მათი თანაბარი რესპუბლიკანური
ორგანოებისათვის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სა-
ხალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და მათ თა-
ნაბარ რესპუბლიკანურ ორგანოებს, რომელთა სისტემაშია ც არიან მათი უშუა-
ლოდ ქვემდებარე ფაბრიკები, ქარხნები და სხვა საწარმოები, სახელმწიფო სა-
მრეწველო ტრესტების დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციე-
ბის გარდა (სსრკ.კან. კრ. 1927 წ. 39 №-ი, მუხ. 392; 1929 წ. მე-5 №-ი,
მუხ. 47), აგრეთვე:

ა) ამ საწარმოთა საბრუნავი სახსრის ოპერატიული რეგულირება, კერ-
ძოდ, ამ სახსრის ერთ საწარმოოდან მეორე საწარმოში გადატანა თავისი სისტე-
მის საწარმოთა შორის სახსრის გადანაწილების წესით;

ბ) გაწყობილობისა, ინვენტარისა, ტრანსპორტისა, ნედლეულის მარაგისა,
ნახევარ-ფაბრიკატებისა და სათბობი მასალის ოპერატიული მანეჯირება, თა-
ვისი სისტემის ერთ საწარმოოდან მეორეში გადატანით.

2. უფლება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სახალხო
კომისარიატებსა და ცენტრალურ ორგანოებს—მონაწილეობა მიიღებინონ თა-
ვიანთ უშუალოდ ქვემდებარე ფაბრიკებს, ქარხნებს და საწარმოთ თაფიანთი
ცენტრალური აპარატის შესანახ ხარჯებში ისეთი რაოდენობით, რაც განსა-
ზღვრულ იქნება საქართველოს სსრ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექ-
ციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით. საქართველოს სსრ სახალხო
კომისარიატებისა და მათი თანაბარი ცენტრალური რესპუბლიკანური ორგანოე-
ბის უშუალო ქვემდებარე ფაბრიკათა, ქარხანათა და საწარმოთა მონაწილეობა
აღნიშნული ორგანოების აპარატის შესანახ ხარჯებში არ შეიძლება აღემატე-
ბოდეს კანონით განსაზღვრულ სატრესტო ანარიცხების რაოდენობას.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

152. დადგენილება ს.კ.ს.



საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან კინო-ფოტო-მრეწველობის მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 11-ის თარიღისა და 190 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-11 №-ი, მუხ. 59), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის ტრესტი რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოდ, რომელიც მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედი შემდეგი საწარმოები:

ა) სამხატვრო, სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ფილმების მწარმოებელი ფაბრიკა;

ბ) საკოპირო ფაბრიკა;

გ) კინოფიკაციისა და ფილმების გავრცელების რესპუბლიკანური კონტორა („საქკინო“);

დ) კინო-ტრონიკის წარმოების ბიურო („საქკინოტრონიკა“);

ე) სამშენებლო კონტორა („საქართველოს კინომშენი“).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს კინემატოგრაფიის კადრების მომზადებას სპეციალურ ტექნიკუმებში და მის განკარგულებაში მყოფ კურსებზე.

4. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოსთან ეწყობა სამხატვრო საბჭო, რომლის სათავეშიაც დგას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

5. კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველო შეიმუშავებს თემატურ გეგმას სამხატვრო, სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ფილმებისა და კინო-ტრონიკის წარმოებისათვის და, სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით, წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო მრეწველობის მთავარ სამმართველოს.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს ეკისრება:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშაობას კინოფიკაციის ხაზით;

ბ) ჰმართოს კინო-თეატრების ქსელი, რაც მის გამგებლობაშია, და აგრეთვე ახალი კინო-თეატრების მშენებლობის საქმე;

გ) მოაწყოს თავისი წარმოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენზურ-საწარმოთა წარმოების კინოფილმების გავრცელება (გაქირავება) და აგრეთვე უცხოეთის ფილმების გაქირავება მთლად კინოქსელის ხაზით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, კინო-ფილმების მწარმოებელ ზემოაღნიშნულ საწარმოებთან, ხოლო უცხოეთის ფილმების თაობაზე — „სოიუზინტორგკინო“-სთან დადებული ხელშეკრულებების ხაფუშველზე;

დ) დაგვემოს და გაანაწილოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვემო კომისიასთან შეთანხმებით, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემაველ ავტონომიურ რესპუბლიკებზე და ოლქზე და რაიონებზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის მთავარი სამმართველოს მიერ გამოყოფილი აპარატურა და სხვა მოწყობილობა, რაც საჭიროა საქართველოს სსრ კინოფიკაციისათვის.

7. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას — შეინუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო-მრეწველობის სამმართველოს დებულების პროექტი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შოშახია.

1933 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

153. დადგენილება ს.კ.ს.

ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წ. აპრილის 3-ის თარიღისა და 445 №-ის დადგენილებით ფარიანი მავნებლების წინააღმდეგ კარანტინ ქვეშ გამოცხადებული მთლად დასავლეთი საქართველოს, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის რაიონები გაერთიანებულ იქნენ ერთ საკარანტინო ზონად და აიკრძალოს ამ ზონიდან ცოცხალი მცენარეებისა და ყოველგვარი სარგავი მისალის გამოტანა და საკარანტინო ზონის შიგნითვე მცენარეებისა და სარგავი მისალის გადატან-გადმოტანა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საკარანტინო სასამსახუროს უნებართვოდ თვითუფლ ცალკე შემთხვევაში.

2. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აკარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და წინადადება მიეცეს დასავლეთ საქართველოს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—იხმარონ აღმასრულებელი ბანი ამა დადგენილების 1-ლი მუხლის დაუყოვნებლად აღსრულებისათვის და უზრუნველყონ ამ მუხლის ზედმიწევნით შესრულება და კონტროლი ზემოაღნიშნული კარანტინის განხორციელებისათვის საკარანტინო ზონაში.

3. მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპირო საპორტო სამმართველოებს და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სახალხო კრმისართა სამკოსთან—გასცენ დაუყოვნებლივ განკარგულება, შემდგომ საკითხის სათანადო საერთო-საკავშირო ცენტრებთან შეთანხმებით: ა) საკარანტინო ზონის ფარგლებს გარეთ რკინის გზებით, წყალსავალი გზებით და ფოსტით ისეთი ტვირთისა და ამანათების გასაგზავნად მიღების აკრძალვის შესახებ, რაც ცოცხალ მცენარეებსა და სარგავ მასალას შეიცავს; ბ) საკარანტინო ზონის ფარგლებში აღნიშნული ტვირთის და ამანათების გასაგზავნად მიღების შესახებ მხოლოდ მაშინ, უკეთეს გამგზავნელნი თვითველ ცალკე შემთხვევაში წარმოადგენენ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საკარანტინო სასამსახურო სანებართვო მოწმობას.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—აღძრას სასწრაფო წესით სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი სათანადო საერთო-საკავშირო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული ღონისძიების დადასტურების შესახებ.

4. დაევალოს განსაზოვადობული სექტორის ყველა ორგანიზაციას და კერძო მეურნეობებს—შეასრულონ უცილობლად როგორც გამანადგურებელი, ისე საკარანტინო ხასიათის ღონისძიებანი, რასაც ფარიან მავნებელთან ბრძოლის მიზნით, მოსთხოვს მათ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის საქართველოს განყოფილება.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაუწიონ მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოებს ყოველგვარი დახმარება მათი მუშაობის ამ სფეროში.

5. ამა დადგენილების 1-ლ და მე-4 მუხლების (საკარანტინო ზონის ფარგლებს გარეთ ცოცხალი მცენარეებისა და სარგავი მასალის გატანის აკრძალვა, ამ ზონის ფარგლებში მცენარეებისა და სარგავი მასალის გადატან-გადმოტანა მხოლოდ საკარანტინო სასამსახუროს ნებართვით, მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ორგანოების მოთხოვნის აღსრულება საკარანტინო და გამანადგურებელი ხასიათის ღონისძიებათა შესახებ) დარღვევისათვის დამნაშავე პირნი მიეცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სადმინისტრაციო წესით და დაედოს მათ ჯარიმა 500 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ორ თვემდე ადმინისტრაციულს

გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1933 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

1933 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 116 №-ში 1933 წ., მაისის 22.

154. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ამერიკული ვაზის სადედეებისა, ნამყენი ვაზის სანერგეებისა და ახალი ვენახების გაშენებისათვის კონტროლის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლებს შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილებაში „ამერიკული ვაზის სადედეებისა, ნამყენი ვაზის სანერგეებისა და ახალი ვენახების გაშენებისათვის კონტროლის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 129) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლში მინიშნება სისხლის სამართლის კოდექსის 193 მუხლზე (1925 წლის გამოცემა) შეიცვალოს მინიშნებად: „სისხლის სამართლის კოდექსის 183 მუხლის თანახმად (1928 წ. რედაქციით)“.

2. მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამა დადგენილების დარღვევა, წინა მუხლში აღნიშნული შემთხვევების გარდა, გამოიწვევს ჯარიმას სამას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას სამ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით, ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236)“.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტაი.

1933 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

155. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.



„ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საქარო ღონისძიებათა და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1931 წლის ივლისის 4-ის დადგენილებაში „ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საქარო ღონისძიებათა შესახებ და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლი და მისი 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„1. ჩაის ნარგავთა დაზიანება ან განადგურება, სხვათა შორის საქონლის მიწვევით წახდენა, გამოიწვევს იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით, ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236), სასოფლო საბჭოებისა, მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებისა და აგრონომიული პერსონალის აქტებისამებრ.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით“.

(1-ლი მუხლის მე-2 შენიშვნა დატოვებულ იქნეს წინანდელი რედაქციით).

2. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

2. „ჩაის პლანტაციებისათვის დადგენილი სავალდებულო აგრონომიული წესების დარღვევა, იმ გადასახდელთა გარდა, რაც ვათვალისწინებულა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 26-ის დადგენილებით „სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 94), გამოიწვევს აგრეთვე კოოპერაციის მეშვეობით სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების უფლების ჩამორთმევას“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი თ. უდენტი.

1933 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

156. დადგენილება ც.ა.კ.



მებამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებულ ბრძოლიდან გამომდინარე დავალებების უკეთესად შესრულებისათვის დაპრემიების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ეძლევა საქართველოს სსრ ერთ-ერთ რაიონს მებამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის თვისებითი და რიცხვითი მაჩვენებლების უკეთესად შესრულებისათვის.

2. დაარსებულ იქნეს ფულადი პრემიები სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა, კოლექტიური მეურნეობების გამგეობების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა, კოლმეურნეთა, აგრონომთა და აგროტექნიკოსთა დასაჯილდოებლად ბამბის დათესვისა, დამუშავებისა, მოსავლის აღებისა და ბამბის ჩაბარების გეგმების აღსრულების საქმეში უკეთესი მუშაობისათვის:

პირველი პრემია 500 მან. რაოდენობით (ორი პრემია);

მეორე პრემია 300 მან. რაოდენობით (სამი პრემია);

მესამე პრემია 200 მან. რაოდენობით (ხუთი პრემია).

3. დაწესებულ იქნეს დაპრემირება, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო ცენტრებსა და დედა-ქალაქებში წარვლინებით ორი პირისა, რომელთაც თავი იჩინეს მებამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის დროს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

157. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან დეცენტრალიზებული წესით დამზადებული პროდუქტების გაყიდვა-გასაღების ფასების დაწესებისათვის საკონვენციო ბიუროს დაარსების შესახებ.

საკონვენციო შეთანხმებათა წესით დადგენილი დეცენტრალიზებულად დამზადებული პროდუქტების გაყიდვა-გასაღების ფასების შესახებ* გამოცემული

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივლისის 27-ის თარიღისა და 870 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან საკონვენციო ბიურო, რომელსაც ექნება ფუნქციები—დაადგინოს, საკონვენციო შეთანხმებათა წესით, რაიონებისა და ხარისხის, მიხედვით დიფერენცირებული ცალკობითი გასაყიდი ფასები დეცენტრალიზებულად დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ვაჭრობა საწარმოთათვის.

2. აღნიშნული საკონვენციო ბიურო მოქმედობს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და „ცეკავშირისა“, „საქვაჭრობისა“, ა/კ. საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებისა, ამიერკავკასიის სამხედრო-საკოოპერაციო სამმართველოს, „სოიუზმიასის“ საქართველოს კონტორისა, „სოიუზპლოდოვოვშიჩის“ საქართველოს კონტორისა, „საქხილბოსტანისა“, „საქკარაქმრეწვისა“, „საქრძეფერინელებისა“ და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

3. ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ზღვრულ ცალკობით ფასებს რესპუბლიკაში, გარდა იმ პროდუქტებისა, რომელთა გასაყიდ ზღვრულ ფასებს აწესებს შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტი, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია.

საკონვენციო ბიუროს დადგენილებანი დიფერენცირებული სარაიონო და სახარისხო გასაყიდი ფასების შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარის მიერ და განხორციელდეს მხოლოდ ამ დამტკიცების შემდეგ.

4. მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს: ა) წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხუთი დღის ვადაზე აღნიშნული საკონვენციო ბიუროს დებულების პროექტი და ბ) შეტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიაში ერთი დეკადის ვადაზე დეცენტრალიზებული წესით დამზადებული ბოსტნეულის ზღვრული გასაყიდი ფასების პროექტი.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილის 22.

ტფილისი.

158. დამბინილება ს. კ. ს.



საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან დღევანდელსავე მრეწველობის პროდუქციის, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოხდის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექციის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭო ადგენს:

1. ღვინისა, სპირტისა და ყოველგვარი სპირტიანი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელის წარმოების საქმის დაყენებისათვის ზედამხედველობის განსახორციელებლად საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან მოწყობილ იქნეს ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციის, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოხდის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექცია.

2. აღნიშნულ სახელმწიფო ინსპექციას დაეკისროს:

ა) გაუწიოს მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა საწარმოს, ორგანიზაციის და პირის მიერ, რომელიც-ც აკეთებს, გადაამუშავებს, ინახავს და ჰყიდის ღვინოს, სპირტს, სპირტიან, მცირეალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებს, ამ საკითხების თაობაზე გამოცემული ყველა კანონისა, მთავრობის დადგენილებისა და განკარგულების აღსრულებას;

ბ) აღნუსხოს ყველა სარეკტიფიკაციო, საკონიაკო, სახილ-ყურძნეულო, საარაყო და სასპირტო ქარხანა, ღვინის სარდაფი, საწყობი, სავაჭრო წერტილი და აგრეთვე მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი საწარმო;

გ) გაუწიოს ზედამხედველობა ზემოაღნიშნული პროდუქტების გადაამუშავებისა და რეალიზაციის პროცესებს დადგენილი თვისებითი ნორმებისა და მანქანების დაცვის სფეროში;

დ) იხმაროს ღონისძიება აღნიშნული პროდუქტების ფალსიფიკაციასთან ბრძოლისათვის;

ე) გასცეს სერტიფიკატები იმის თაობაზე, რომ აქა თუ იქ წარგზავნილი ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქცია შეესაბამება დამტკიცებულ საკონდიციო პირობებს;

ვ) თვალყური ადევნოს სარეკტიფიკაციო და საკონიაკო ქარხნებში საკონტროლო ხელსაწყოებს და შეამოწმოს მათი მოქმედება;

ზ) შეადგინოს აქტები სპირტისა, სპირტიანი სასმელებისა, ღვინისა, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოებისა, გადაამუშავებისა და გაყიდვისათვის არსებული წესების დარღვევის შესახებ და ამ აქტების თანახმად კანონით დადგენილ პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირნი.

3. ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციის, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოზღვის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექციის შესახებ ხარჯი გაღებულ იქნეს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბრუნვის საპროცენტო ანარიცხებიდან, რომლებიც ეწევიან ღვინო-სპირტის, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას.

ზემოაღნიშნული წესით მიღებული თანხებიდან შესდგება საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სპეციალური სახსარი, რაც ინახება და იხარჯება „სახელმწიფო ბეჟუეტზე მყოფ დაწესებულებების სპეციალურ სახსართა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესებისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141).

ზემოაღნიშნული სახელმწიფო ინსპექციის შესახებ გადასადები საწარმოთა და ორგანიზაციათა ბრუნვის საპროცენტო ანარიცხების რაოდენობას და ამ თანხების გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. დაეკისროს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს: ა) დამტკიცოს დებულება ღვინო-სპირტის მრეწველობის პროდუქციის, მცირეალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების თვისებისა და აგრეთვე სპირტის გამოზღვის, შენახვის და რეალიზაციისათვის ზედამხედველობის გამწევი სახელმწიფო ინსპექციის შესახებ და ბ) გამოსცეს, სათანადო შემთხვევაში დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ინსტრუქციები და წესები აღნიშნული სახელმწიფო ინსპექციის მოქმედების მოსაწესრიგებლად.

5. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას—წარმოუდგინოს ორი თვის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილს 23.

ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

159. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს
ზოგადი მოხელის

სსრ კავშირის კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების ბანკის სპეციალურ კაპიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავლიდან და სავაჭრო-სამრეწველო, სახაწყობო და საკონტორო სადგომების საიჯარო ქირიდან მიზნობრივი ანარიცხების გადაღების შესახებ.

„ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავლიდან მიზნობრივი ანარიცხების გადაღების დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საბალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 8-ის თარიღისა და 58/1932 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ის, მუხ. 11) და ამ საერთო საკავშირო კანონის განსავითარებლად გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ საბალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 4-ის დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ საბალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1933 წ. იანვრის 1-დან აღდილობრივი საბჭოების კომუნალურ საწარმოთა (ტრამვაი, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური, ელექტროქსელი) საერთო შემოსავლიდან მიზნობრივი ანარიცხების გადაღება სსრ კავშირის კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების ბანკის სპეციალურ კაპიტალებში.

2. განსაზღვრულ იქნეს საქართველოს სსრ ცალკეული ქალაქებისათვის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნობრივი ანარიცხების შემდეგი განაკვეთები:

ა) ქალ. ტფილისისათვის: ტრამვაის საერთო შემოსავლიდან—14%, წყალსადენის და კანალიზაციისა—13,9% და ელექტროქსელისა—10% (სულ 3.420 ათასი მან. რაოდენობით);

ბ) ქალ. ფოთისათვის: წყალსადენის საერთო შემოსავლიდან—15% (15 ათასი მან.) და ელექტროსადგურისა—20% (36 ათასი მან.);

გ) ქალ. ქუთაისისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20% (120 ათასი მან.);

დ) ქალ. ახალციხისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20% (14 ათასი მან.);

ე) ქალ. გორისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20% (20 ათასი მან.);

ვ) ქალ. ზუგდიდისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20% (16 ათასი მან.);

ზ) ქალ. თელავისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20% (26 ათასი მან.);

- თ) ლუქსემბურგისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—
20% (16 ათასი მან.);
- ი) ქალ. ოზურგეთისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—
20% (16 ათასი მან.);
- კ) ქალ. სენაკისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20%
(16 ათასი მან.);
- ლ) ქალ. სიღნაღისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—
20% (10 ათასი მან.);
- მ) ქალ. ჭიათურისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—
20% (24 ათასი მან.);
- ნ) ქალ. ხონისათვის: ელექტროსადგურის საერთო შემოსავლიდან—20%
(9 ათასი მან.).

3. ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში 1933 წ. იანვრის 1-დან გადასადები კომუნალურ საწარმოთა საერთო შემოსავლის მიზნობრივი ანარიცხები ქალ. სოხუმისა და აფხაზეთის ავტ. სსრ-ის სხვა ქალაქებისათვის განისაზღვროს სულ 110 ათასი მან. თანხის რაოდენობით, ხოლო ქალ. ბათუმისათვის—სულ 74 ათასი მან. თანხის რაოდენობით.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განსაზღვრონ, ზემოაღნიშნული საერთო თანხების მიხედვით, კომუნალურ საწარმოთა საერთო შემოსავლის ანარიცხების პროცენტი ცალკეული ობიექტებისათვის და ერთი დეკადის ვადაზე სათანადო დადგენილებები აცნობონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. შემოღებულ იქნეს 1933 წ. იანვრის 1-დან ცენტრალური კომუნალური ბანკის საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში ანარიცხის გადადება 20%-ის რაოდენობით საეკპრო-სამრეწველო, სასაწყობო და საკონტროო სადგომების საიჯარო ქირიდან, რაც შემოვა შემდეგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა, ახალციხესა, აღბულახსა, ბორჯომსა, გორსა, ზუგდიდსა, თელავსა, მანგლისსა, ოზურგეთსა, სამტრედიასა, სენაკსა, სიღნაღსა, სტალინისსა, ხონსა, ბათუმსა, სოხუმსა, გაგრასა, გუდაუთსა და ოჩამჩირაში.

აღნიშნული შემოსავლის ანარიცხების საერთო თანხა განისაზღვროს—1933 წ. დაგეგმილი ამ კატეგორიის შემოსავლის კვალობაზე—1.988 ათასი მან. რაოდენობით, აქედან ქ. ტფილისისათვის—1.000 ათასი მან. ბათუმისათვის—120 ათასი მან., აფხაზეთის ავტ. სსრ-ის ქალაქებისათვის—260 ათასი მან. და რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტებისათვის—528 ათასი მან.

5. რადგანაც ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალებში გადასადები მიზნობრივი ანარიცხების პროცენტები, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილებით, შეესაბამება კომუნალურ საწარმოთა შემოსავლის და საეკპრო-სამრეწველო, სასაწყობო და საკონტროო სადგომების საიჯარო ქირის წლიურ გეგმებს, და ეინაიდან ამა წლის პირველი კვარტალის განმავლობაში აღნიშნული

ანარიცხების ნაწილი ზოგიერთ ქალაქებში უკვე გადადებულია, უფლებამოსილებას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—შეადგინოს და განაწილოს ციელოს, ზევით განსაზღვრული ანარიცხთა პროცენტების ფარგლებში. კვარტალური გვეგები ამ ანარიცხთა პროცენტების შეცვლით, ხოლო ისე-კი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიზნობრივი ანარიცხების სრულიად გადაცემა ცენტრალური კომუნალური ბანკის სპეციალურ კაპიტალში და ამ დადგენილებით დამტკიცებული თანხების რაოდენობით.

კვარტალური გვეგების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის საჭირო ცნობები ავტონომიური რესპუბლიკებისა, რაიონებისა და ქალაქების საფინანსო ორგანოებმა უნდა წარადგინონ თავის დროზე.

6. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. უფიკაშვილი.

საქ. სსრ. ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. აპრილის 25.

ტფილისი.

160. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამზანაგობათა დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შექმნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 27-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 173), რომელი დადგენილებითაც შეცვლილია და დამატებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1930 წ. ივნისის 24-ისა— „ადგილობრივი საბჭოების ჭონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ და 1928 წ. ნოემბრის 19-ისა— „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქალაქო საბჭოებთან მოწყობილ იქნეს სპეციალური ფონდები იმ მუნიციპალიტეტული სახლების რემონტის დასაფინანსებლად, რომლებიც მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამზანაგობათა ექსპლოატაციაშია.

2. მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამზანაგობათა დაფინანსების ფონდებს შეადგენს.

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათაგან მიღებული საიჯარო ქირა;

ბ) იმ სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და სხვა არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის ანარიცხები 25%-ის რაოდენობით, რომლებიც საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იჯარით გადაცემულ სახლთ-მფლობელობებშია.

3. მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაფინანსების ფონდები საქალაქო საბჭოების განკარგულებაშია.

4. ფონდების განაწილების გეგმებს ამუშავებენ და უდგენენ სათანადო საქალაქო საბჭოებს დასამტკიცებლად საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირები; ამასთანავე, ამ ფონდების სახსრის მოხმარება საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა აპარატების შესანახად არ შეიძლება.

5. საცხოვრებელი შენობის საიჯარო ქირა გამოიანგარიშება სახლის მეურნეობის საერთო შემოსავალსა და გასავალს (ნორმალიზებული ბიუჯეტი უამორტიზაციოდ) შორის არსებული განსხვავების სახით.

6. ის საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი, რომელთა შემოსავალიც ნაკლებია ნორმალიზებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებზე ან ამ ხარჯების თანაბარი, განთავისუფლდებიან საიჯარო ქირის გადახდისაგან.

7. აღნიშნულ ფონდებში სახსართა შეტანის დაწვრილებითი წესი და აგრეთვე ამ სახსართა შენახვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

II.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს—გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგებილების 1-ლი კარის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია და დამტკიცონ სია იმ ქალაქებისა, სადაც 1933 წელს მოწყობილ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფონდები.

III.

9. „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ შენობათა საიჯარო ქირის განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილების მე-3 მუხლს (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 192) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სარგებლობაში გადაცემულ შენობათა საიჯარო ქირა გამოიანგარიშება სახლის

საერთო შემოსავალსა და გასავალს (ნორმალიზებული ბიუჯეტი უამორტიზაციოდ) შორის არსებული განსხვავების სახით; ამასთანავე, ის საბუნდო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი, რომელთა შემოსავლიც წავლუბია ნორმალიზებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებზე ან ამ ხარჯების თანაბარი, განთავისუფლდებიან საიჯარო ქირის გადახდისაგან.

IV.

10. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილება „საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუბ. 39) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჭლენტი.

1933 წ. აპრილის 14.

ტიფლისი.

161. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქალაქებში მწვანე ნარგავთა დაცვის შესახებ.

ქალაქებში მწვანე ნარგავთა არსებული ფონდის შენარჩუნების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქალაქებში მდებარე ყველა ბულვარი, ტყე, პარკი და სკვერი და აგრეთვე ცალკეული ნარგავი ქუჩებსა და ეზოებში გამოცხადებულ იქნეს მწვანე ნარგავთა ხელუხლებელ ფონდად.

2. ყველა არსებული მწვანე ნარგავი ეზოების შიგნით, სახლების წინა პალისადგენში და სახლებზე მიკრულ ტროტუარებზე აღებულ უნდა იქნეს აღნუსხვანე საქალაქო საბჭოს ორგანოების მიერ და ჩაბარდეს საზრუნავად სათანადო სახლმმართველობას (დაწესებულებას, საბინაო-საიჯარო ამხანაგობას, კერძო სახლმფლობელს და სხვა მისთ.), რომელიც პასუხისმგებელია ამ ნარგავების დაცვისა და მოვლისათვის.

მწვანე ნარგავთა აღნუსხვის წესს განსაზღვრავს საქალაქო საბჭო.

3. იმ უწყებას, დაწესებულებას და პირს, რომლის გამგებლობაშიაც მწვანე ნარგავებია, ეკისრება მოვალეობად შეინახოს იგი ხელუხლებლად.

4. მწევანე ნარგავთა მოჭრა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მარტოოდენ სათანადო საქალაქო საბჭოს ნებართვით და იმ შემთხვევაში, რომ მოჭრილი ნარგავის ნაცვლად ჩაყრილი იქნება ახალი ნარგავი მომჭრელის ხარჯით.

5. კონტროლსა და მეთვალყურეობას სახლთმმართველობების მიერ ნაკისრებ ვალდებულებათა შესრულებისათვის ანხორციელებს სათანადო საქალაქო საბჭო.

6. მწევანე ნარგავთა გაფუჭებისა და განადგურებისათვის დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ საქალაქო საბჭოების მიერ ამ საგანზე გამოცემული სავალდებულო დადგენილებების თანახმად.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ორი დეკადის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.ს.კ.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ყდგენტი.

1933 აპრილის 14.

ტფილსი.

უ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

162. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს სსრ 1933 წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში გასატარებელი, შემოსავალ-გასავლის ჯუშული—128.445,6 ათასი მან. საბალანსო თანხის რაოდენობით.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი :

| | |
|--|---------------------------|
| 1) განსაზოგადოებული სექტორის სავადასახადო შემოსავალი | 76.034,0 ათ. მან. |
| 2) მოგების ანარიცხები | 5.730,8 " " |
| 3) მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია | 43.353,5 " " |
| 4) სხვა შემოსავალი | 3.327,3 " " |
| სულ შემოსავალი | 128.445,6 ათ. მან. |



გ ა ს ა ვ ა ლ ი

ა) სახალხო მეურნეობის დაფინანსება.

(გარდა მიმე მრეწველობის და სახევაკრობისა)

| | |
|-----------------------------------|------------------|
| 1) მსუბუქი მრეწველობა | 6.413,5 ათ. მან. |
| 2) ელექტროფიკაცია | 320,0 " " |
| 3) სასოფლო მეურნეობა | 9.486,0 " " |
| 4) კომუნალური მეურნეობა | 300,0 " " |
| 5) ტრანსპორტი | 2.657,0 " " |

სულ სახალხო მეურნეობა 19.376,5 ათ. მან. *

ბ) სოც.-კულტურული ღონისძიებანი.

| | |
|-------------------------------|-------------------|
| 1) განათლება | 38.894,0 ათ. მან. |
| 2) ჯანმრთელობა | 9.307,0 " " |
| 3) ფიზკულტურა | 106,0 " " |
| 4) სოცურზრუნველყოფა | 1.917,0 " " |

სულ სოც.-კულტ. ღონისძიებანი 50.224,0 ათ. მან.

გ) მშობრთველობა და რეგულირება 3.513,7 " "

დ) სახალხო კომისართა საბჭოს
სარეზერვო ფონდი 890,1 " "

ე) სოცდაზღვევის ანარიცხები 1.949,3 " "

ვ) ადგილობრივ ბიუჯეტში და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებში გადასარიცხი სახსარი 52.492,0 " "

სულ გასავალი 128.445,6 ათ. მან.

II. ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო ზედნაფასების ანარიცხები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის განისაზღვროს 72.060,0 ათასი მან. რაოდენობით, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებისათვის 21.611,8 ათ. მან. რაოდენობით.

III. დაწესებულ იქნეს აჭარისტანიისა და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა რესპუბლიკანური და სამზრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებისათვის სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები შემდეგი რაოდენობით:

- 1) საქალაქო და სასოფლო კულტამოსაღებისა 100%
- 2) კინოს ბრუნვის გადასახადისა 100%
- 3) მასურ სესხთა რეალიზაციით მიღებული თანხებისა 25%

IV. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ საქართველოს სსრ ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადიდან და საბიუჯეტო ზედნაფასებიდან პროცენტული ანარიცხების დამტკიცების შემდეგ, ასეთივე ანარიცხები დააწესოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის (აფხაზეთი, აჭარისტანი, სამხრეთ-ოსეთი) და ტფილისის საბჭოს ბიუჯეტებისათვის.

V. საქართველოს სსრ 1933 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის სრულად მიღების უზრუნველსაყოფად:

1) წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო კომისარიატს და ორგანიზაციას, —სამეურნეო ანგარიშის უცილობლად განხორციელებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საფუძველზე, —მთლად შეასრულოს სახსართა დაგროვების პროგრამა და თავისი ვალდებულებანი ბიუჯეტის მიმართ (ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვ.);

2) დაევალოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, უკეთეს სამეურნეო ორგანიზაციებისათვის კვარტალურად განსაზღვრული ანარიცხები მოგებისა სრულად არ შემოვა, დაუყოვნებლივ მოახსენოს ეს საქართველოს სახალხო კომისარიატს და წარმოუდგინოს თავისი მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს როგორც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველსაყოფად, ისე სავსავლო ნაწილის შესათანხმებლად შემოსავალთან;

3) დაევალოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს მასური მუშაობის გაშლა მოსახლეობაში სახსართა მობილიზაციისა და განსაზოგადოებელი სექტორის შემოსავლის ასაკრებად;

4) წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს მოისმინონ სისტემატურად მოხსენებები განსაზოგადოებელი სექტორის საშემოსავლო გეგმის აღსრულების მიმდინარეობისა და მოსახლეობაში სახსართა მობილიზაციის მსვლელობის შესახებ და საჭირო შემთხვევაში იხმარონ გადაამწყვეტი ღონისძიებანი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის თავის დროზე და სრულად მიღების უზრუნველსაყოფად.

VI. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

1) დააჩქაროს ა/კსფსრ ორგანოებში მძიმე მრეწველობისა, სახევაკრობისა, ბეკვდითი სიტყვისა, განათლების დარგში მშენებლობისა და პიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ასიგნების განაწილება რესპუბლიკებზე;

2) უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით მრეწველობის დასაფინანსებლად გადადებულ ასიგნების შედგენილობაში გეოლოგიურ-საქვლეო სამუშაოთა საჭიროებისათვის 240,0 ათასი მან.

VII. რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები მთლად ვერ ჰქარავს მმართველობის აპარატის შესანახად საჭირო ხარჯებს, ამიტომ, შტატისა და სამუშაო ხელფასის ფონდის შესათანხმებლად საბიუჯეტო დანიშნულებებთან, საჭიროდ იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების—საადმინისტრაციო ხარჯების შემდგომი შემცირება.

VIII. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და უწყებებს—წარუდგინონ არა უგვიანეს 1933 წ. აპრილის 10-ისა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს თავიანთი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით 1933 წლისთვის გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე, ცენტრალური სამმართველოებისა, მათი ადგილობრივი ორგანოებისა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების საშტატო კონტინგენტები და სამუშაო ხელფასის ფონდი.

IX. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—დააწესოს სასტიკი კონტროლი სამუშაო ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის და სავსებით უზრუნველყოს ამ ფონდის სწორე და წესიერი გამოყენება; ამასთანავე გადახარჯვის შემთხვევაში შესწყვიტოს ხოლმე დაფინანსება როგორც საბიუჯეტო, ისე ბიუჯეტ-გარეშე წყაროებიდან; თანაც შრომის სასყიდლის თვითნებისად გადიდებასა და სამუშაო ხელფასის ფონდის გადამეტებაში შემჩნეული კონკრეტული დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის წესით.

სრ. ნაქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტო.

1933 წ. აპრილის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ 103 №-ში 1933 წ. მაისის 6.

163. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 21 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლისა და ამავე მუხლისათვის „გ¹“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო აღგენენ:

I.

1. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილე-

ბის 21 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, შუბ. 74) მოღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[21. სანახაობისა და გასართობის გადასახადისათვის დაწესებული მდებარე მტკიცე განაკვეთები:....].

„გ) სასპორტო შეჯიბრებისათვის, საზოგადოებრივი სათამაშოსათვის, ცირკისა (გარდა ტფილისის სახელმწიფო ცირკისა) და მექანიკური თეატრისათვის (კინემატოგრაფის გამოკლებით)—ბილეთის ფასის 20%.

2. იმავე მუხლს დაემატოს „გ¹“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„გ¹) ტფილისის სახელმწიფო ცირკისათვის—ბილეთის ფასის 10%.

II.

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. აპრილის 14.

ტფილისი.

სახელმწიფო დაზღვევა

164. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში სახელმწიფო დაზღვევის დამოუკიდებელი ორგანოების მოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 15-ის დადგენილების თანახმად და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1933 წ. მარტის 20-ის თარიღისა და 34 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში მოწყობილ იქნეს სახელმწიფო დაზღვევის დამოუკიდებელი სამმართველო („საქ-სახდაზღვევა“), რომელმაც უნდა იმოქმედოს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე განსაკუთრებული დებულების თანახმად.

სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები არიან ზემოაღნიშნული სამმართველოს რწმუნებულნი საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და დაზღვევის ინსპექციები რაიონებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილ ქალაქებში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამსახურის კომისარიატთან ერთად, და დაამყაროს „საქსახდაზღვევის“ და შისპ—სადაზღვეო ორგანოების სტრუქტურა და შტატები.

3. დაზღვეული ქონების ზარალის ანაზღაურების სალიკვიდაციოდ და აგრეთვე დამზღვევთა მიერ დაზღვევის ზარალის თაობაზე განცხადებული პრეტენზიების და საჩივრების განსახილველად მოწყობილ იქნეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან მუდმივი სადაზღვეო კომისიები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგისა, დაზღვევის ინსპექტორისა, სარაიონო მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სარაიონო ორგანოს წარმომადგენლის შედგენილობით.

სადაზღვეო კომისიის შედგენილობაში იმ კოლექტიური მეურნეობების ინტერესების შესახები საკითხების განხილვის დროს, რომლებსაც მომსახურების უწყვეს სამანქანო-სატრაქტორო სადგური, შედის ამ სადგურის პოლიტიკური განყოფილების წარმომადგენელი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ინტერესების შესახები საკითხების განხილვის დროს—საბჭოთა მეურნეობის პოლიტიკური განყოფილების წარმომადგენელი.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს—დააბრუნოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სამუშაოზე სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში დაზღვევის დარგის ყოფილი მომუშავენი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. უოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია

1933 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

შ რ ო მ ა

165. დადგენილება ს.კ.ს.

შრომის დაგვეგვიანა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდების ხარჯვის რეგულირების წესის შესახებ.

„შრომისა და ხელფასის დაგვეგვიანის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1933 წლის მარტის 23-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“ № 72 1933 წ. მარტის 28 ისა) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღგენს:



ქართული
ლიბრერი

I.

1. საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აგრეთვე საქართველოს სსრ-ის მასშტაბით მომქმედი ყველა უწყება და ორგანიზაცია ფედერატიული და საკავშირო მნიშვნელობისა, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგვეგმო კომისიაში პროდუქციის (ან სხვა საწარმოო მიჩვენებლების) წლიური და კვარტალური გეგმების წარდგენასთან ერთად, ვალდებული არიან წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომისიაში, საქართველოს სსრ შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებში და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში და მათ ადგილობრივ ორგანოებში, მთავრობის მიერ დადგენილ ვადებზე, შრომის წლიური და კვარტალური გეგმები (მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, საშუალო ხელფასი, სამუშაო ხელფასის ფონდები მომუშავეთა კატეგორიებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით) და აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ანგარიშები, ახსნა-განმარტებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ქვემდებარეობის სახეების აღნიშვნით (საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი).

2. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი წარადგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომისიის მეშვეობით, შრომის დამუშავებულ ჯუმლობრივ წლიურ და კვარტალურ გეგმებს ახსნა-განმარტებით მუშა-მოსამსახურეთა რიცხვისა, საშუალო ხელფასისა და ხელფასის ფონდების შესახებ და შრომის ნაყოფიერების ანგარიშებს საქართველოს სსრ მთელი სახალხო მეურნეობისათვის, რაც განაწილებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო ასლებს—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომისიას და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, შრომის ჯუმლობრივ გეგმაში შესატანად, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვისა, საშუალო ხელფასისა და ხელფასის ფონდების დამუშავებულ ჯუმლობრივ წლიურ და კვარტალურ გეგმებს ახსნა-განმარტებით; გეგმები განაწილებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებებს შორის (განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობა და სახელმწიფო მმართველობა) იმ დაწესებულებების მიხედვით, რომელთა დაფინანსებაც ხდება საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური ან ადგილობრივი ბიუჯეტით, თანაც უნდა აღინიშნოს დაფინანსების წყაროები.

4. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სსრ რაიონებში შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების ორგანოები შეადგენენ შრომის ჯუმლობრივ გეგმებს, ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლის თანახმად, და წარუდგენენ ამ გეგმებს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს სათანადო საგვეგმო კომისიების მეშვეობით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია და საქართველოს სსრ შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შრომის გეგმების დამტკიცებზე შეზღუდვების დგენენ ამ გეგმებს ა/კსფსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს კუთვნილებებისამებრ.

6. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ლიმიტების მიღების შემდეგ:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილ ოპერატიულ წლიურ და კვარტალურ სახალხო-სამეურნეო გეგმებში გამოყოფს სამუშაო ხელფასის წლიური კვარტალური ფონდების ლიმიტებს თვითეული რესპუბლიკანური უწყებისათვის ცალკე, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით—სუმარულად თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქისათვის და თვითეული რაიონისათვის;

ბ) ყველა რესპუბლიკანური უწყება და ორგანიზაცია წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სამუშაო ხელფასის წლიური და კვარტალური ფონდების ლიმიტებს მეურნეობის დარგების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და საქართველოს სსრ რაიონების ხაზით; ამისთანავე გამოყოფილ უნდა იქნეს ფონდები სათანადო დარგების მიხედვით ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონისათვის ცალკე;

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში სამუშაო ხელფასის ფონდების განზილევა და დამტკიცება რესპუბლიკანური და სახელმწიფო დაწესებულებათა მრეწველობის დარგების ხაზით*დაეკისრება სათანადო სახალხო კომისარიატების და უწყებების ხელმძღვანელებს, ხოლო ადგილობრივი მრეწველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს;

დ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილ წლიურ და კვარტალურ ბიუჯეტებში გამოყოფს ცალკეულ გრაფად ყველა იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის სამუშაო ხელფასის ფონდს, რომლის დაფინანსებაც რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტით სწარმოებს;

ე) საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს

სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით, შრომის ჯუმლობრივ ოპერატიულ წლიურ და კვარტალურ გეგმებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა სექტორისათვის.

II.

7. დავეალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოაწყოს 1933 წლის დასაწყისიდან აღრიცხვა და ყოველთვიურად, 1933 წლის თებერვლის 1-დან დაწყებული, შეადგინოს სამუშაო ხელფასის ფონდებისა, კონტინგენტების რიცხვისა და საშუალო ხელფასის აღრიცხვის ჯუმლები უწყებების მიხედვით სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და წარუდგინოს ეს ჯუმლები ყოველთვიურად სახელმწიფო საგეგმო კომისიას, შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

8. დავეალოს სახალხო კომისარიატებს და უწყებებს მოაწყონ საწარმოებსა, მშენებლობებსა, დაწესებულებებში და სხვ. სამუშაო ხელფასის ფონდების ხარჯვის თვიური ოპერატიული აღრიცხვა ცალ-ცალკე მუშებისა, მოსამსახურეებისა, ინჟენერ-ტექნიკოსებისა, უმცროსი მომსახურე პერსონალისა, მოსწავლეებისა და მშრომელთა დანარჩენი კატეგორიებისათვის.

III.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის ფონდების ხარჯვის რეგულირების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის თებერვლის 21-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 13 №-ი, მუხ. 75) 7-10 მუხლების შესაბამისად, მკაცრად ადევნოს თვალყური, რათა სამუშაო ხელფასის დამტკიცებული ფონდები სათანადოდ იხარჯებოდეს, და აღკვეთოს სამუშაო ხელფასის ფონდების გადამეტება იმ შემთხვევების გარეშე, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული დადგენილების 11 მუხლით.

10. დავეალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ მისცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შრომის სასყიდლის თვითნებურად გადიდებისა, სამუშაო ხელფასის ფონდების გადამეტებისა და აგრეთვე ხელფასის გაცემის დაგვიანებისათვის კონკრეტულად დამნაშავე პირნი.

11. დავეალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს ყოველ კვარტალში წარუდგინოს მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შრომის ნაყოფიერების გეგმების შესრულების მსვლელობისა და სამუშაო ხელფასის დამტკიცებული ფონდების ხარჯვის შესახებ.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს შეიმუშაონ და გამოსცენ ერთად სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად.
საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. უფთიაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შიმახია.

1933 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 115 №-ში 1933 წ. მაისის 21.

166. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 21 მუხლის შეცვლისა და ამავე დადგენილების მე 18 მუხლისათვის მე-3 ნაწილის და 22 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილებაში „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 127) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ის დრო, რაც გატარებულ იქნება გზაში ბეგარაზე გაწვეული პირის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე, ჩათვლება ბეგარის ვადაში“.

2. 21 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„21. შრომის საკაპანზიდვო ბეგარაზე გამოსაყენებელი მუშა-საქონლის დატვირთვა და გასაყვლევი მანძილი უნდა შეესაბამებოდეს როგორც ცხოველთა გამწვეუნარიანობას, ისე გზის მდგომარეობასა და ხასიათს.“

ტვირთის მზიდავი თუ ზედმატარებელი ცხოველის დატვირთვის საშუალო ნორმად, იმ პირობით, რომ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში გასაყვლევი მანძილი არ აღემატებოდეს: ცხენისათვის—25-30 კილომეტრს, ხოლო ხარისა თუ კამეზისათვის—15-20 კილომეტრს, თუ ამასთანავე საყვალვი გზატკეცილია ან კარგი, არაკიცაბოალმართიანი ყაშირგზა ან სასოფლო გზა:

ა) ადგილობრივი აბორიგენტთა ჯიშის საშუალო ძალის მქონე ცხენისათვის:

კალფად შებმულისათვის—4-5 ცენტნერი;

წყვილად შებმულებისათვის—7-9 ცენტნერი;

ბ) გაუმჯობესებული (მძიმე სისხლნარევი) ჯიშის საშუალო ძალის ცხენისათვის:

იგივე მოქმედება, აგრეთვე საამისოდ წაქეზება, კულაკის ან კერძო შესყიდველის მიერ ჩადენილი, გამოიწვევს

საადმინისტრაციო წესით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, —

ჯარიმას იმავე რაოდენობით, მთელი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის ან ამ საქონლის ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ,

და ამის გარდა — სასამართლო წესით —

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, უწყებელი ადგილიდან გამოსახლებით ან უამისოდ. -

136¹-გ. დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობა ცხენისადმი, ხარისადმი და კამეჩისადმი, განსაკუთრებით მაკისადმი (რომლის ექსპლოატაციაც შეიძლება მხოლოდ ზოოვეტერინარული პერსონალის ნებართვით და მის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით) განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო), უკეთუ ასეთ მოპყრობას მოჰყვა ცხოველთა გაწყდომა ან გაფუჭება, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე.

უკეთუ ასეთ მოპყრობას ცხენებისადმი, ხარებისადმი და კამეჩებისადმი სისტემატური ხასიათი აქვს, ან მას მოჰყვა ამ ცხოველთა თვალსაჩინო რიცხვის დაღუპვა, —

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

უკეთუ დაუდევარ მოპყრობას ამ ცხოველებისადმი ზემოაღნიშნული შედეგი არ მოჰყვა, —

სადისციპლინო გადასახდელს შინაგანრიგების წესების მიხედვით და ფულის დაჭერას მომქმედი კანონის თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ფლენტი.

1933 წ. აპრილის 23.

ტფილისი.

ფაზი 60 კაბ.